## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-556

29/07/2022 ქ. თბილისი

### ,,სს „არწივის ხეობის“ კირის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 27 მაისის N2-773 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის N 21/2674 წერილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სს „არწივის ხეობის“ კირის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 27 მაისის N2-773 ბრძანება.
2. ბრძანება გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს და სს „არწივის ხეობას“.
3. სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ეს ბრძანება 5 დღის ვადაში განათავსოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია სს „არწივის ხეობას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი